

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი №11

ქ.თბილისი

23.02.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელექტრონული ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განთლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე;

ირინე გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები :

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელიზბარ ელიზბარაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;

იზოლდა ჭინჭარაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;  
მაგდა დავითაშვილი - ფაკულტეტის დეკანი;  
ნინო მოდებაძე - პროგრამის კოორდინატორი;  
შალვა ჭკადუა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

თამარ ჩხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;  
ნინო კასრაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამების მონიტორინგის წარმომადგენელი;  
რუსუდან თაყაიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ნოდარ ფოფორაძე;  
მარიკა ტატიშვილი;  
ირინა გოგონაია;  
ანჟელა აბულაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15: 50 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 9 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

სხდომის მდივნის ფუნქცია აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაეკისრა საბჭოს წევრს - გიორგი თურქიას.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.



სხდომის თავჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტეოროლოგია - კლიმატოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენებისა და თარგმანის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრმა დააყენა შუამდგომლობა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენებისა და თარგმანის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის დღის წესრიგიდან ამოღების თაობაზე, ვინაიდან დაწესებულების მიერ მოთხოვნილ იქნა ადმინისტრაციულ წარმოების შეწყვეტა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომის თავჯდომარემ გაიზიარა დაყენებული შუამდგომლობა და დაამტკიცა ახალი დღის წესრიგი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტეოროლოგია - კლიმატოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტეოროლოგია - კლიმატოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

|                                                            |                             |
|------------------------------------------------------------|-----------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება                       | მეტეოროლოგია-კლიმატოლოგია   |
| განათლების საფეხური                                        | მაგისტრატურა                |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია<br>კვალიფიკაციის კოდის მითითებით | გეოგრაფიის მაგისტრი<br>0505 |
| სწავლების ენა                                              | ქართული                     |
| კრედიტების რაოდენობა                                       | 120                         |

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ დასკვნაში ასახულ ძირითად ასპექტებზე.

ექსპერტის, ნოდარ ფოფორაძის განცხადებით კლიმატოლოგია-მეტეოროლოგია გახლდათ მნიშვნელოვანი სპეციალობა, აღსანიშნავი იყო, რომ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ ჰყავდათ კურსდამთავრებულები ამ მიმართულებით. ვიზიტის მიმდინარეობისას დამსაქმებლებთან ინტერვიუმ ცხადჰყო, რომ ბაზარზე შეინიშნებოდა სპეციალისტების ნაკლებობა. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი გახლდათ კომპეტენტური და გამოცდილი. დასკვნაში ასახული რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა მოძველებულ ლაბორატორიულ ბაზას, თუმცა უნივერსიტეტი მაინც ახერხებდა საველე სამუშაოების დროს მაგისტრანტებისათვის პრაქტიკული ცოდნის გადაცემას. ამასთანავე აღსანიშნავი იყო, რომ მიმდინარე ეტაპზე პროგრამაზე ირიცხებოდა მხოლოდ ერთი მაგისტრანტი. კომპიუტერული და პროგრამული თვალსაზრისით იკვეთებოდა



გაუმჯობესება, ხოლო ლაბორატორიულ ბაზასთან დაკავშირებით დაწესებულება გამოხატავდა მზაობას სამომავლოდ მოეხდინათ ლაბორატორიის განახლება და თანამედროვე ინსტრუმენტებით აღჭურვა. ვიზიტის დროს გამორკვეულ იქნა, რომ კურსდამთავრებულები აქტიურად საქმდებოდნენ არამარტო მეტეოროლოგიური მიმართულებით, არამედ გეოგრაფიის დარგშიც, მათ შორის მასწავლებლებადაც. რეგიონში მასწავლებლების კუთხით არსებული დეფიციტის გამო პროგრამას გეოგრაფიული მიმართულებით დანაკლისის შევსების პოტენციალი გააჩნდა. სასწავლო ლიტერატურა უმეტეს საგნებში მისაღები იყო, თუმცა გარკვეულ საგნებში საჭიროებდა განახლებას. რაც შეეხებოდა ბიბლიოთეკას, ბაზებზე წვდომა სირთულეს არ წარმოადგენდა, თუმცა იკვეთებოდა ამ კუთხით სტუდენტების სათანადო ინფორმირებულობის ნაკლებობა.

ექსპერტის განცხადებით, მეტეოროლოგიურ-კლიმატოლოგიური კუთხით იგრძნობოდა კადრების ნაკლებობა, რადგან მაგალითად მითითება, რომ სილაბუსები მიმაგრებული იყო ერთ პიროვნებაზე იქიდან გამომდინარეობდა, რომ არსებობდა პრობლემა კვალიფიციური დოქტორების მოძიებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე სტუდენტთა სიმცირე, მიუხედავად იმისა რომ შრომის ბაზარი აღნიშნულ პროფესიას ითხოვდა წარმოადგენდა პრობლემას. თუმცა ამასთანავე აღსანიშნავი იყო ისიც, რომ რეაკრედიტაციის პირობებში მეტი აქტივობის ფონზე, რომელიც მიმართული იქნებოდა პროგრამის ცნობადობის ამაღლებისაკენ შესაძლებელი გახდებოდა მეტი სტუდენტის მოზიდვა. წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტებს მატერიალურ - ტექნიკური ბაზის ირგვლივ არსებული პრობლემების თაობაზე, თუმცა აღნიშნა რომ შესაბამისი კომპეტენციის გამომუშავება მაინც ხერხდებოდა პროგრამის პირობებში. ამასთანავე არსებობდა თანამშრომლობა სხვა უნივერსიტეტებთან, მაგალითად ტექნიკურ უნივერსიტეტთან, რომელიც ეხმარებოდა მათ საჭირო აღჭურვილობის მიწოდებით. უახლოეს მომავალში უნივერსიტეტი აპირებდა იმ აპარატურის შეძენას, რომელიც აღნიშნული მომენტისათვის მათ არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეკონკრეტებინა რა აპარატურაზე იყო საუბარი და რამდენი იქნებოდა მისი ჯამური ღირებულება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის თანამშრომლებს წარმოადგენდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენდა სერიოზულ სამეცნიერო ცენტრს კავკასიაში და რომელიც ეხმარებოდა თელავის უნივერსიტეტს მატერიალურ - ტექნიკური ბაზით და ადამიანური რესურსით. ამასთანავე უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავდა ტექნიკური ბაზის სრულყოფაზე მეტეოროლოგიის და გეოგრაფიის მიმართულებით. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა გეოგრაფიის ფაკულტეტზე თითქმის სრულყოფილი, შესაბამისი აღჭურვილობის არსებობას, იქნებოდა ეს სხვადასხვა ტიპის თერმომეტრები, ბარომეტრები თუ სხვა, რაც სასწავლო პროცესში დაკვირვებების ჩატარების პრობლემას ხსნიდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა თანამშრომლობის არსებობა თელავის მეტეოროლოგიურ სადგურთან, რომელიც ამავედროულად წარმოადგენდა დამსაქმებელსაც. ამასთანავე, თელავის უნივერსიტეტში აგრარულ მიმართულებას გააჩნდა საცდელი ნაკვეთი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა დამატებით მეტეოროლოგიური გამოკვლევების ჩატარებაც. პროგრამის წარმატებული აკრედიტაციის შემთხვევაში, იგეგმებოდა ადმინისტრაციის წინაშე დასმულიყო საკითხი სასწავლო ტიპის მეტეოროლოგიური სადგურის შეძენისა.



სხდომის თავჯდომარე, დაინტერესდა აპარატურის ღირებულებით და ხომ არ იქნებოდა უფრო მარტივი და ამავდროულად მისაღები, შეძენილი აპარატურა მოხმარებოდა რამოდენიმე პროგრამის სტუდენტებს, მაგალითად მეტეოროლოგიისა და გეოგრაფიის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აპარატურის შეძენა არ საჭიროებდა დიდ თანხებს, განსაკუთრებით მაშინ თუ დახმარებას პარტნიორი ორგანიზაციებისგანაც მიიღებდნენ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქმე ეხებოდა დაახლოებით 20 000 ლარს რაც აუცილებელი იყო საწყის ეტაპზე რათა დაკმაყოფილებული ყოფილიყო ლაბორატორიულ და საველე სამუშაოებთან დაკავშირებული მოთხოვნები.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა, აღნიშნული სპეციალობით კიდევ რომელი უნივერსიტეტი ახორციელებდა ანალოგიურ პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი უნივერსიტეტი გახლდათ ერთადერთი საქართველოში რომელიც ახორციელებდა აღნიშნულ პროგრამას, დაწესებულებაში აღნიშნული მიმართულებით ასევე ხორციელდებოდა სადოქტორო პროგრამა, რომლის კურსდამთავრებულები წარმატებით ერთვებოდნენ გრანტების მეშვეობით კვლევით პროექტებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უშუალოდ მაგისტრატურაზე, გასული ხუთი წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა რაოდენობა არ აღემატებოდა ხუთს. თუმცა წლების წინ პროგრამა გაცილებით მოთხოვნილი იყო.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ იკითხა, მუშაობდნენ თუ არა კურსდამთავრებულები სპეციალობით, რაზეც უნივერსიტეტმა დადებითად უპასუხა.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ აღნიშნა, რომ პრობლემები ცალსახად იკვეთებოდა ლიტერატურასთან დაკავშირებით. იგი დაინტერესდა გეგმავდა თუ არა დაწესებულება ლიტერატურის უცხოენოვანი წყაროებით შევსებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საქართველოში არ იქმნებოდა სახელმძღვანელოები დარგთან დაკავშირებით, ხოლო თავად უნივერსიტეტი თარგმნის შესაძლებლობას მოკლებული იყო, თუმცა სტუდენტების დაინტერესების შემთხვევაში უცხოენოვან ლიტერატურაზე წვდომა პრობლემას არ წარმოადგენდა. წინაპირობად უცხოენის ცოდნა გამომდინარეობდა სწორედ მოცემული საჭიროებიდან, რომ თავად სტუდენტებს ჰქონოდათ წვდომა უცხოენოვან ლიტერატურაზე, განსაკუთრებით იმ პირობებში როცა უნივერსიტეტი სტუდენტებს ელექტრონულსებს აქტიურად სთავაზობდა.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ თქვა, რომ ელექტრონულსების არსებობა არ ჩანდა სილაბუსებში და სასურველი იქნებოდა ამის მითითება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტები სწავლობდნენ დარგობრივ უცხოენას, რაც დამხმარე ფაქტორს წარმოადგენდა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებაში. ამასთანავე პროგრამაში მითითებული იყო იმ ბაზების ჩამონათვალი, რომლებზე წვდომაც უფასოდ იყო შესაძლებელი. ბაზებზე უფასო წვდომას უზრუნველყოფდა რუსთაველის ფონდთან თანამშრომლობა.

სხდომის თავჯდომარე დაინტერესდა, რა იწვევდა ასეთ მოთხოვნად და იშვიათ პროგრამაზე სტუდენტთა ნაკლებობას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული სავარაუდოდ გამოწვეული იყო იმით, რომ პროგრამაზე მიდიოდნენ გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული კანდიდატები, რომელთათვისაც მაგისტრატურაზე პრიორიტეტად კვლავ გეოგრაფიის მიმართულება რჩებოდა და არა კლიმატოლოგია - მეტეოროლოგია. გარდა ამისა რეგიონებში



ბოლო წლებში იკვეთებოდა ტენდენცია ზოგადად ყველა მიმართულებაზე სტუდენტთა კლებისა.

საბჭოს წევრი, დიმიტრი ჯაფარიძე დაინტერესდა აღნიშნული პროგრამა თუ ხორციელდებოდა რომელიმე უნივერსიტეტში საბაკალავრო საფეხურზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა არსებობდა მხოლოდ თელავის უნივერსიტეტში და მხოლოდ მაგისტრატურის დონეზე.

საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ქმნიდა მოთხოვნა - მიწოდების საინტერესო სურათს, რომელიც უნივერსიტეტს შეეძლო გამოეყენებინა კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის, იმ შემთხვევაში თუ მოახერხებდა პროგრამის მოდერნიზებას, რადგან ორგანიზაციები აფასებდნენ პროგრამის თანამედროვეობას და ინოვაციურობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი თანამშრომლობდნენ გარემოს დაცვის სამინისტროსთან პროგრამის - Global Forest Watch - ის ფარგლებში და იმედოვნებდნენ მათ დახმარებას.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა, ვინ იყვნენ პროგრამის კურსდამთავბერულთა დამსაქმებლები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დამსაქმებლები იყვნენ ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელი, არასამთავრობო ორგანიზაციები, დაცული ტერიტორიების სააგენტო და სხვა.

საბჭოს წევრმა, თეო ურუშაძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ სპეციალობა გახლდათ ძალიან მნიშვნელოვანი და იმისათვის რომ პროგრამა ყოფილიყო წარმატებული საჭირო იყო მისი ცნობადობის გაზრდა, მან ურჩია დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის გაეცნოთ პროგრამა. ამასთანავე ეცნობებინათ გარემოს დაცვის სააგენტოსათვის და განეხილებინათ ერთობლივი პროექტები. ყოველივე ხელს შეუწყობდა პროგრამის ცნობადობის ამაღლებას.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამასთან დაკავშირებული დინამიკით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საშუალოდ, პროგრამაზე ყოველწლიურად შესაძლებელი იყო 15 სტუდენტის მიღება. ის, რომ დაწესებულებას სურდა აკრედიტაციის მიღება, მათი მხრიდან წარმოადგენდა განაცხადს, პროგრამის გაგრძელებისა და გაუმჯობესების.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა, დამოუკიდებელი ლექციების პროცენტული მაჩვენებლით ერთ სტუდენტთან მიმართებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტი დარგობრივ საგნებს ესწრებოდა მარტო, ხოლო საგნებს, რომლებიც გაზიარებადი იყო სხვა მიმართულებებთან, შესაბამისად სხვა სტუდენტებთან ერთად.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, პროგრამაში ჩართული პერსონალი ასწავლიდა თუ არა სხვა სპეციალობებზეც.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პერსონალი სხვა პროგრამებზეც ასწავლიდა.

საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა უნივერსიტეტში არსებული კომპიუტერული აღჭურვილობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული კუთხით პრობლემა არ არსებობდა და ამას ადასტურებდნენ ექსპერტებიც.

16:32 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.  
სხდომა განახლდა 17: 05 საათზე.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტეოროლოგია - კლიმატოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27<sup>6</sup> მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

სხდომის თავჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულებას ენიჭებოდა აკრედიტაცია ორ ეტაპიანი მონიტორინგის საფუძველზე. პირველი ეტაპი მოიცავდა ლიტერატურისა და სილაბუსების გამოსწორების საკითხს, რაც ცენტრის მიერ გადამოწმდებოდა 5 თვის განმავლობაში, ხოლო მეორე ეტაპზე დაწესებულებას ეძლეოდა ერთი წელი იმისათვის რომ დაწესებულება აღეჭურვა მინიმალური ლაბორატორიული ტექნიკით. აღნიშნულის გადამოწმებასაც ცენტრი უზრუნველყოფდა ერთი წლის შემდგომ.



2. სსიპ - თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

|                                                            |                                                  |
|------------------------------------------------------------|--------------------------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება                       | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა |
| განათლების საფეხური                                        |                                                  |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია<br>კვალიფიკაციის კოდის მითითებით |                                                  |
| სწავლების ენა                                              | ქართული                                          |
| კრედიტების რაოდენობა                                       | 60                                               |

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ დასკვნაში ასახულ ძირითად ასპექტებზე.

ექსპერტმა, ირინა გოგონაიამ განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამას აკრედიტაცია გავლილი ჰქონდა 2011 წელს. 2016 წელს პროგრამა აღარ განხორციელებულა სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის არქონის გამო. 2017 წელს განხორციელებულ იქნა მიღება, გამოცხადებული იყო 5 ადგილი და ყველა ადგილი კონკურსის შედეგად დაკავებული იქნა. პროგრამა გახლდათ 60 კრედიტიანი, აქედან 30 კრედიტი იყო გათვალისწინებული ფსიქოლოგიურ-პერაგოგიურ საგნებზე, 20 კრედიტი - დარგობრივ სპეციალობაზე და 10 - პედაგოგიური პრაქტიკაზე, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ასევე სამუსიკო დარგობრივ საგნებს, რაც ხელს უწყობდა მსურველებს შესაბამისი გამოცდილების გამომუშავებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო პროგრამის თანამშრომლობა ნორვეგიის



სამუსიკო აკადემიასთან, რომელიც წარმოადგენდა ლიდერს სამუსიკო პედაგოგიკაში. ამჟამად იგეგმებოდა ერთობლივი მეთოდური სახელმძღვანელოს გამოცემა ქართულ ენაზე. გარდა ამისა ტარდებოდა ვორქშოპების ციკლი, როგორც აკადემიური პერსონალიათვის ასევე სტუდენტებისათვის. პროგრამის დადებით მხარეს წარმოადგენდა ის რომ თანამშრომლობა მიმდინარეობდა მუსიკალურ ასოციაცია ჯ ორფთან. აღნიშნული მნიშვნელოვანი გახლდათ, ვინაიდან ზოგადად საქართველოში მძიმე პრობლემას წარმოადგენდა მასწავლებელთა პროფესიული ასოციაციების საკითხი.

ექსპერტის განცხადებით, არსებული გარკვეული პრობლემები გახლდათ დაძლევადი მაგალითად: როგორც იყო სილაბუსების აღქმა, არა როგორც მასწავლებლისათვის განკუთვნილისა, არამედ როგორც გზამკვლევისა სტუდენტებისათვის. გარდა ამისა აღსანიშნავი იყო პროგრამის ხარისხის განვითარებაში სტუდენტების ჩართულობის გაზრდაც. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის მომენტისათვის კონკრეტული კითხვარი უშუალოდ პროგრამისთვის არ იყო შემუშავებული, თუმცა მათ წარედგინათ კითხვარი რომლითაც ხელმძღვანელობდნენ სხვა პროგრამებში და აღნიშნულ პროგრამაზე იგეგმებოდა მსგავსი სტანდარტის დანერგვა. რეკომენდაციას წარმოადგენდა შემუშავებული ყოფილიყო კითხვარი როგორც აკადემიური პერსონალისათვის, ასევე სტუდენტებისა და დამსაქმებლებისათვის.

ექსპერტის რჩევით, კითხვარში, რომელიც გამიზნული იქნებოდა აკადემიური პერსონალისათვის კარგი იქნებოდა ისეთი კითხვების დამატება როგორც არის მაგალითად: „რას დაამატებდით სილაბუსში?“, ვინაიდან აღნიშნული წაახალისებდა პერსონალს დაფიქრებულიყო პროფესიულ განვითარებაზე. რეკომენდაციას წარმოადგენდა აგრეთვე, პროგრამის შესახებ ინფორმაციის განახლება კონსერვატორიის ვებ გვერდზე, ვინაიდან ვიზიტის ფარგლებში გარკვეული ინფორმაციის მოძიება ვებ გვერდიდან ექსპერტებს გაუჭირდათ. ამასთანავე, ვებ გვერზე ასახულიყო უნდა ყოფილიყო ინფორმაცია ღონისძიებების და ექსტრაკურსულუმის აქტივობების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის განვითარებაში სტუდენტთა ჩართულობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ კვლევის ჩატარებას აზრი ექნებოდა მაშინ, როდესაც იარსებებდა დაგროვილი გამოცდილება. ექსპერტების ვიზიტის ფარგლებში პროგრამა მხოლოდ 2 თვის დაწყებული იყო და იმდენად რამდენადაც პროგრამას არ ჰყავდა კურსდამთავრებული, არ არსებობდა კითხვარი და შესაბამისად არც გამოკითხვა. კითხვარი სხვა პროგრამებთან მიმართებაში იყო სტანდარტული, რაც მომავალში უშუალოდ მოცემულ პროგრამაზეც გავრცელდებოდა. ამ ფონზე უნივერსიტეტის წარმომადგენელს უჭირდა გაეზიარებინა ექსპერტის რეკომენდაცია. სასწავლო რესურსების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ საბიბლიოთეკო რესურსთან ერთად ჰქონდათ ინსტრუმენტებით და კომპიუტერებით აღჭურვილი ოთახები და გაუგებარი იყო რა იგულისხმებოდა სასწავლო რესურსებში. რაც შეეხებოდა შეფასების კრიტერიუმების ჩაშლას ქულებად, რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებული იყო, თუმცა უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამუსიკო შეფასების სპეციფიკაში კონკრეტულ ქულებად გაწერა შეფასების საკმაო სირთულეს წარმოადგენდა. ეს ხარვეზი 14 სასწავლო კურსიდან მხოლოდ 4-ში იყო მითითებული.

სხდომის თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და უთხრა, რომ რადგანაც ამ ეტაპზე განიხილებოდა მონიტორინგის მოცემულობა, უმჯობესი იქნებოდა მათი მხრიდან აქცენტი გაკეთებულიყო იმაზე, რისი გამოსწორება მოხდა და რა გაუმჯობესდა, რადგან ამ მოცემულობისათვის ეს უფრო რელევანტური ინფორმაცია იქნებოდა საბჭოსათვის.



დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სიახლე პროგრამაში იყო პრაქტიკის ოდენობა, რომელიც 10 კრედიტზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. რაც შეეხებოდა დაშვების წინაპირობებს, ხარვეზი, რომელიც მოდიფიკაციის შედეგადაც დარჩა, წარმომადგენელმა პროგრამაზე დაშვების წინაპირობას. წარმომადგენლის თქმით, სხვა მხრივ ძველი პროგრამაც შეესაბამებოდა სტანდარტებს. კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ექსპერტებს ვერ ეთანხმებოდნენ, ეხებოდა ვებ გვერდზე ინფორმაციის ნაკლებობას. მან განაცხადა, რომ ექსპერტების ვიზიტი განხორციელდა ნოემბერში, ხოლო ინფორმაცია პროგრამის შესახებ სექტემბერშიც კი იყო განთავსებული, ამიტომ გაუგებარი იყო, რატომ გაუჭირდათ ექსპერტებს ინფორმაციის მოძიება.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა ამხადებდა თუ არა პროგრამა მასწავლებლებს საჯარო სკოლებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მუსიკის მასწავლებლები მზადდებოდნენ როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლებისათვის.

საბჭოს წევრები, გიორგი თურქია დაინტერესდა, იმისთვის რომ კადრს, ესწავლებინა მუსიკა საჯარო სკოლაში, აუცილებელი იყო თუ არა ამ კონკრეტული პროგრამის დასრულება და იქნებოდა თუ არა საკმარისი მაგალითად შვიდწლიანი მუსიკალური განათლება მასწავლებლობისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მასწავლებლობისათვის საკმარისი არ იყო მხოლოდ მუსიკალური განათლება, საჭირო იყო პედაგოგიკის სწავლაც, ამასთანავე პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენდა გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ გამოცდებში მუსიკის საგნის ჩაბარება. დაწესებულებას ჰქონდა საბაკალავრო საფეხურთან ინტეგრირებული 60 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების პროგრამა, რომელმაც არ გაამართლა, ამიტომ საბაკალავრო საფეხურზე მასწავლებლის მომზადებაზე აღარ კეთდებოდა აქცენტი ვინაიდან სტუდენტების მხრიდან არ იკვეთებოდა დაინტერესება აღნიშნული მიმართულებით.

სხდომის თავჯდომარე დაინტერესდა, ისწავლებოდა თუ არა პროგრამაში ისეთი საგნები რაც განავითარებდა მასწავლებლის როგორც პედაგოგის უნარ-ჩვევებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტებს ასწავლიდნენ ფსიქოლოგიასაც და პედაგოგიკასაც, რაც საჭირო იყო მასწავლებლის პროფესიისათვის და ამასთანავე 20 კრედიტით გათვალისწინებულ დარგობრივი საგნების მეთოდოლოგიას.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა სთხოვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აეხსნათ, რას გულისხმობდა პრაქტიკის ნაწილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრაქტიკა მოიცავდა როგორც გაკვეთილის გეგმის შემუშავებას ასევე ხელმძღვანელთან ერთად უშუალოდ გაკვეთილის ჩატარებას, კურიკულუმის შესაბამისად.

საბჭოს წევრი პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა, იყო თუ არა აღნიშნული პრაქტიკა საკმარისი იმისათვის რომ სტუდენტი მასწავლებლად ჩამოყალიბებულიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექვსივე სტუდენტი, რომელიც გადიოდა პროგრამას, უკვე იყვნენ მნიშვნელოვანი გამოცდილებით და ისინი უკვე ასწავლიდნენ სკოლებში, ხოლო პროგრამა ეხმარებოდა მათ ცოდნის გაღმავებასა და კომპეტენციის ამაღლებაში.

სხდომის თავმჯდომარე განაცხადა, რომ პროგრამის სწორება უკვე ჩამოყალიბებულ მასწავლებლებზე არასწორი პრაქტიკა იქნებოდა.



საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა, რამდენად ჰქონდათ სკოლებს საშუალება სწავლების პროცესში მუსიკალური ინსტრუმენტების გამოყენებისა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლაში მუსიკის საგნის მიზანი, რომელიც 2004 წლიდან იწერებოდა საქართველოში, იყო მიეცა მოსწავლისათვის ზოგადი ცოდნა მუსიკის შესახებ, ჩამოეყალიბებინა კულტურულ მსმენელად.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, სილაბუსების ფორმა ზოგადი იყო კონსერვატორიისათვის თუ სპეციფიკური - პროგრამისათვის, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა საკმაოდ ბუნდოვანი იყო და სტუდენტს მისი მოძებნა გაუჭირდებოდა, ამასთანავე ნაკლებად რეკომენდირებული იყო ლიტერატურად დისერტაციის მითითება, რაც ერთ-ერთ სილაბუსში აღნიშნებოდა, რადგან ეს წარმოადგენდა შესასწავლი საკითხების უკიდურესად დავიწროვებას, სწავლების პროცესში კი აღნიშნული მიზანშეწონილად არ მიიჩნეოდა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარის ამ შენიშვნას.

სხდომის თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა, იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე მივიდოდა სტუდენტი, რომელიც არ იყო მასწავლებელი, განსხვავებით პროგრამის ამჟამინდელი სტუდენტებისაგან, შეძლებდა თუ არა ის შედეგზე გასვლას, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა თქვა, რომ პროგრამის შემუშავების დროს სახელმძღვანელოდ აღებული იქნა მუსიკის მასწავლებლის სტანდარტი, რაც სტუდენტისთვის შედეგის მიღწევას უპირობოდ უზრუნველყოფდა.

18:06 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.  
სხდომა განახლდა 18:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული

„საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-11 პუნქტის თანახმად სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს ვადა არაუმეტეს 60 დღე.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მითითებულ ვადაში დაწესებულებას უნდა გაესწორებინა სილაბუსები და მიეთითებინა ლიტერატურა სტანდარტის მოთხოვნების



შესაბამისად. უნდა მომხადრიყო შეფასების სქემების ასახვა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის თანახმად.

18:32 საათზე, დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:32 საათზე.

თავმდჯომარე

ელიზბარ ელიზბარაშვილი

სხდომის მდივანი

გიორგი თურქია

